სტუდენტთა ჟურნალი სოციალურ მეცნიერებებში

№1, აპრილი, 2017

Student Journal of Social Sciences

2016 წლის საპარლამენტო არჩევნებზე გამოუცხადებელ ამომრჩეველთა ქცევის განმსაზღვრელი ფაქტორები

შოთა ნარსია

პოლიტიკის მეცნიერების საბაკალავრო პროგრამა
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
E-mail: shotanarsia95@gmail.com

რეზიუმე

2016 წლის არჩევნებზე, წინა ორ საპარლამენტო არჩევნებთან შედარებით, ამომრჩეველთა დაბალი აქტივობა აღინიშნა. თუ 2008 წელს ამომრჩეველთა 53%, 2012 წელს კი 60,8% გამოცხადდა არჩევნებზე, 2016 წლის არჩევნების პირველ ტურში ამომრჩეველთა აქტივობამ 51,63%, ხოლო მე-2 ტურში 37,5% შეადგინა. მოცემული კვლევის მიზანს წარმოადგენს არჩევნებზე გამოუცხადებლობის ფაქტორების დადგენა, ცხოვრების სოციალურ-ეკონომიკური ასპექტებით ამომრჩეველთა კმაყოფილების დონესა და მათ მიერ არჩევნებში მონაწილეობაზე უარის თქმას შორის კავშირის განსაზღვრა. ნაშრომი ეყრდნობა მეორადი მონაცემების ანალიზს. საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის ოფიციალური მონაცემების მიხედვით, გაანალიზებულია ამომრჩეველთა აქტივობის მაჩვენებლები 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების პირველ და მე-2 ტურებში. ამომრჩეველთა ქცევის ძირითადი ტენდენციების აღსაწერად კი გამოყენებულია არჩევნებამდე ჩატარებული „კავკასიის ბარომეტრი საქართველოსა“ და NDI-ის კვლევის შედეგები. განხილულია ცვლადებს შორის კავშირი. შესწავლილია არჩევნებში მონაწილეობის მიღებისა და მისი ფასეულობითი აღქმის მიხედვით ცხოვრებით კმაყოფილების დონე და ეკონომიკური მდგომარეობის ცვლილებასთან დაკავშირებით მოსალოდნელი მოკლევადიანი ხედვა. აგრეთვე, არჩევნებში მონაწილეობის საკითხი დაკავშირებულია პარლამენტის, აღმასრულებელი ხელისუფლებისა და პოლიტიკური პარტიების ინსტიტუტის მიმართ ნდობის მაჩვენებელთან. გამოვლენილი შედეგების მიხედვით, საქართველოს პარლამენტის არჩევნებზე ამომრჩეველთა გამოუცხადებლობის ფაქტორებს შორის მთავარი ადგილი პოლიტიკური ინსტიტუტების მიმართ ნდობის დაბალ დონეს უჭირავს, რასაც წინ უძღვის ამომრჩეველთა უკმაყოფილება არსებული სოციალურ-ეკონომიკური პირობებით და მნიშვნელოვანი ცვლილებების მოლოდინის უქონლობა.

საკვანძო სიტყვები: აბსენტიზმი, პოლიტიკური პარტიები, პარლამენტი, აღმასრულებელი ხელისუფლება, ერთმანდატიანი საარჩევნო ოლქი.

შესავალი

საბჭოთა ტოტალიტარულმა და ავტორიტარულმა გამოცდილებამ საქართველოში არჩევნების მიმართ ნდობის სისუსტე განაპირობა, რასაც ხელი შეუწყო დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომ წლებში არჩევნების ფალსიფიცირების მეთოდების გამოყენებამ. შედეგად, არჩევნები ხელისუფლების ლეგიტიმაციის საშუალებად იქნა აღქმული და არა პოლიტიკური ცვლილებების განხორციელების ინსტრუმენტად. საქართველოში დემოკრატიის კონსოლიდირებისათვის ერთ-ერთ აუცილებელ პირობას არჩევნების შედეგების აღიარება წარმოადგენს, როგორც პოლიტიკური პარტიების, ისე ამომრჩეველთა მხრიდან. არჩევნების შედეგების მაღალი ლეგიტიმაციისათვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან

მაჩვენებელს კი ამომრჩეველთა აქტივობის დონე წარმოადგენს. რაც მეტი ამომრჩეველი მიდის საარჩევნო ყუთებთან, მით უფრო ძლიერია აღქმა, რომ არჩევნების შედეგები ამომრჩევლის საერთო ნებას ასახავს.

ბოლო 10 წლის განმავლობაში (2006-2016) საქართველოში ჩატარებული რვა (ძირითადი) არჩევნებიდან ოთხ მათგანზე 50%-ზე დაბალი აქტივობა დაფიქსირდა (2006, 2010 და 2014 წლების ადგილობრივი თვითმმართველობისა და 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნები). ერთადერთი შემთხვევა, როდესაც ამომრჩეველთა აქტივობამ 60%-ს გადააჭარბა, 2012 წლის საპარლამენტო არჩევნები იყო (60,8%), რის შემდეგაც კვლავ დაეცა არჩევნებზე მოქალაქეთა გამოცხადების მაჩვენებელი. 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში ამომრჩეველთა 46,6%-მა, 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში (პირველი ტური) კი მხოლოდ 43,31%-მა მიიღო მონაწილეობა. რაც შეეხება ბოლო, 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებს, ამომრჩეველთა 51,63% გამოცხადდა საარჩევნო უბნებზე, რაც ჩამორჩება წინა ორი საპარლამენტო არჩევნების მაჩვენებლებს (საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია, 2016).



დიაგრამა 1 (წყარო: საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია)

საპარლამენტო არჩევნებზე დაფიქსირებული ამომრჩეველთა აქტივობის მაჩვენებლები (%)

მოცემული კვლევის მიზანს წარმოადგენს არჩევნებზე გამოუცხადებლობის ფაქტორების დადგენა, ამომრჩეველთა მიერ ცხოვრებით კმაყოფილების დონესა და არჩევნებში მონაწილეობაზე უარის თქმას შორის კავშირის განსაზღვრა. ჩვენი სტატიის ამოცანაა, შევისწავლოთ ამომრჩეველთა აქტივობის დონე 2016 წლის არჩევნებზე და შევადაროთ ის წინა არჩევნებზე დაფიქსირებულ მაჩვენებლებს; აგრეთვე, ამომრჩეველთა ქცევის გასაანალიზებლად, შევისწავლოთ არჩევნებამდე ჩატარებული გამოკითხვის შედეგები.

აღნიშნული საკითხის კვლევა მნიშვნელოვანია იმის დასადგენად, თუ ძირითადად რა განაპირობებს საქართველოში ამომრჩეველთა გამოუცხადებლობას და რა გავლენას ახდენს მასზე არსებული მდგომარეობის მიხედვით აღქმული მოლოდინები არჩევნებში შესაძლო გამარჯვებულის მიმართ.

ლიტერატურის მიმოხილვა

არჩევნებში მონაწილეობის საკითხს იკვლევს ცნობილი მეცნიერი ე. დაუნსი. ის გამოყოფს არჩევნებში გამოუცხადელობის ორგვარ ხასიათს: პირველ შემთხვევაში, ამომრჩეველი ყველა კანდიდატს ერთნაირად აღიქვამს. ამასთან, შესაძლოა, უპირატესობას ანიჭებდეს იმ პოლიტიკოსს, რომელიც კანდიდატებს შორის არაა. ასეთ შემთხვევაში, როგორი შედეგითაც არ უნდა დამთავრდეს არჩევნები, ამომრჩეველი უკმაყოფილო რჩება. მეორე შემთხვევაში კი ამომრჩეველი კმაყოფილია ყველა კანდიდატით და არ ანიჭებს უპირატესობას რომელიმე სხვა კანდიდატს, რომელიც არჩევნებში კენჭს არ იყრის. ამ შემთხვევაში, ვინც არ უნდა გახდეს გამარჯვებული, ასეთი ტიპის ამომრჩეველი მაინც კმაყოფილი იქნება (Downs, 1957).

დაუნსი აყალიბებს რაციონალური ამომრჩევლის თეორიას. მას შემოაქვს დანახარჯების მაჩვენებელი, რომელიც გავლენას ახდენს არჩევნებში მონაწილეობაზე. არჩევნებში მონაწილეობა მოითხოვს გარკვეულ დანახარჯებს, მაგალითად, ეს შეიძლება იყოს დროითი დანახარჯი. ამ შემთხვევაში დგება ბალანსის გამოთვლის საკითხი არჩევნებში მონაწილეობის ფასსა და შესაძლო შედეგების ღირებულებას შორის. თუკი ბალანსი უარყოფითი აღმოჩნდება, ამომრჩეველი გვერდზე გადადებს საკუთარ პოლიტიკურ სიმპათიებს და მის მიერ ხმის მიცემაზე უარის თქმა რაციონალური გადაწყვეტილება იქნება. გამომდინარე იქიდან, რომ უმრავლეს შემთხვევაში ხმის მიცემის პოტენციური სარგებელი ძალიან მცირეა, უმნიშვნელო დანახარჯებიც კი რაციონალური თავშეკავების გამომწვევი შეიძლება გახდეს. აღსანიშნავია ისიც, რომ თითოეული მოქალაქე სარგებელს ნახულობს დემოკრატიის პირობებში ცხოვრებით, ამიტომ ამომრჩეველი დემოკრატიული სისტემის მხარდაჭერისკენ იხრება. ამ გარემოებას დაუნსი მიჰყავს რაციონალური ამომრჩევლის ქცევის მოდელამდე, როდესაც ამომრჩეველი იძულებულია, ხმა მისცეს მაშინაც კი, როდესაც რაციონალური მონაწილეობის სხვა მხარეები პოლიტიკური თავშეკავებისკენ იხრებიან (მაცაბერიძე, 2003, გვ. 256).

დაუნსი განიხილავს იმ შემთხვევასაც, როდესაც არჩევნებში მონაწილეობა ამომრჩევლისგან დანახარჯებს არ მოითხოვს, ანუ ხმის მიცემის ფასი ნულს უდრის. ასეთ შემთხვევაში ინდიფერენტული ამომრჩევლები თავს იკავებენ ხმის მიცემისაგან. თუმცა, დაუნსი აქაც ამომრჩეველთა რაციონალურობის დაშვებიდან ამოდის და მიიჩნევს, რომ ამომრჩეველთა ინდივიდუალური აქტიურობის ნაკლებობა არ ნიშნავს გულგრილობას დემოკრატიული ხმის მიცემის ინსტიტუტისადმი. რაციონალურად

ინდიფერენტული ამომრჩეველი ფიქრობს, რომ თუ არავინ მიიღებს არჩევნებში მონაწილეობას, მაშინ დემოკრატიული სისტემა ვერ შეძლებს ფუნქციონირებას. ამ სისტემის დანგრევა კი თითოეულ მოქალაქეს მიაყენებს ზიანს, ამიტომაც ხმის მიცემის ინსტიტუტი აუცილებლად უნდა იყოს შენარჩუნებული. მეორე მხრივ, ასეთი ამომრჩეველი მიიჩნევს, რომ არ არის აუცილებელი არჩევნებში ყველამ მიიღოს მონაწილეობა, რადგან არიან ადამიანები, რომლებიც მოწესრიგებულად მიდიან არჩევნებზე. ის ფიქრობს, რომ არჩევნების შედეგები მის ცხოვრებაში მნიშვნელოვან ცვლილებებს ვერ შეიტანს და ვინც არ უნდა გახდეს გამარჯვებული, მის ინდივიდუალურ პრობლემებზე ეს გავლენას ვერ მოახდენს (მაცაბერიძე, 2003, გვ. 256).

დაუნსის მიხედვით, რაციონალური მოქალაქე წინასწარ აფასებს ხმის მიცემის ღირებულებას, მონაწილეობის საკუთარ ფასეულობით აღქმას, იმ ამომრჩეველთა რაოდენობას, რომლებიც, მისი ვარაუდით, არჩევნებში მიიღებენ მონაწილეობას, საკუთარ პარტიულ მჯობინებას და ა.შ. თუ ამომრჩეველს ყველა პარტიისა თუ კანდიდატის პროგრამა და იდეოლოგიური პლატფორმები ერთნაირი ეჩვენება, მაშინ ხმის მიცემის ღირებულებას უპირისპირდება მონაწილეობის, როგორც სოციალური ინსტიტუტის ფასეულობითი აღქმის ხასიათი და ის სარგებელი, რასაც შეიძლება მოელოდეს ამომრჩეველი ხელისუფლების ცვლილების ან შენარჩუნების შემთხვევაში. აღნიშნულის გათვალისწინებით, შეიძლება გამოვყოთ ამომრჩეველთა ქცევის შემდეგი მიმართულებები: 1. თუ პოტენციური სარგებელი ხმის მიცემის ფასს მხოლოდ ცვლილების შემთხვევაში გადააჭარბებს, ამომრჩეველი ხმას აძლევს ოპოზიციურ პარტიას; 2. თუ პოტენციური სარგებელი ჭარბობს დანახარჯებს არსებული მდგომარეობის შენარჩუნების პირობებში, ამომრჩეველი ხმას აძლევს სახელისუფლებო პარტიას; 3. თუ დანახარჯები აჭარბებს პოტენციურ სარგებელს, ამომრჩეველი თავს იკავებს კენჭისყრაში მონაწილეობისაგან (მაცაბერიძე, 2003, გვ. 260).

რაციონალური ამომრჩევლის ქცევის მოდელი ვერ ხსნის არჩევნებში გამოუცხადებლობის ყველა ფაქტორს. ამიტომ აუცილებელია, ის შევავსოთ სოციალურ-პოლიტიკური მოდერნიზაციის პრობლემატიკის შემსწავლელი კონცეფციებით. მათ შორის აღსანიშნავია აპათია გარდამავალ სისტემებში და აპათია მოდერნიზაციის პროცესში მყოფ შეჯიბრებად სისტემებში.

გარდამავალ სისტემებში, რომლებიც მოდერნიზაციის საწყის ეტაპზე იმყოფებიან, არჩევნებში მონაწილეობა დამოკიდებულია გარკვეული მატერიალური მდგომარეობის, მათ შორის, ცხოვრების სოციალურ-ეკონომიკური პირობებისა და ადამიანის უფლებათა ფართო წრის დაკმაყოფილებაზე. მოცემული სისტემა არ ხასიათდება მაღალი პოლიტიკური კულტურითა და მონაწილეობის ფასეულობის მაღალი სოციალურ-კულტურული აღქმით. გარდამავალ სისტემებში აპათიის მთავარ მიზეზს მოქალაქეთა მონაწილეობის უზრუნველყოფის მექანიზმებისა და სამოქალაქო უფლება-თავისუფლებების დამკვიდრების შედარებით დაბალი ტემპი წარმოადგენს, რაც საკმარისად ვერ

უზრუნველყოფს ქმედით ზეგავლენას გადაწყვეტილების მიღებაზე. აღნიშნულ სისტემაში აპათიას აღრმავებს გაუცხოება ამომრჩევლებსა და სამთავრობო სისტემას შორის (მაცაბერიძე, 2003, გვ. 263, 264).

მოდერნიზაციის პროცესში მყოფ შეჯიბრებად სისტემებში მონაწილეობა არ უკავშირდება შესაძლო სარგებლის შეფასებას. ის აღიქმება, როგორც საზოგადოების წევრთა მოვალეობა. უმეტესწილად, აღიარებულია სისტემის ეფექტურობა და სტაბილურობა. მონაწილეობის ასეთი ხასიათი ორგვარად შეიძლება განიმარტოს: პირველ შემთხვევაში ის დადებითად მოქმედებს პოლიტიკურ პროცესებზე. მოქალაქეები ნაკლებად პოლიტიზებულები არიან და ძირითადად არ ექვემდებარებიან პოლიტიკოსების პროპაგანდას. ამ მდგომარეობის შენარჩუნება დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად მომდინარეობს ის საზოგადოების პოლიტიკური კულტურიდან. წინააღმდეგ შემთხვევაში, მივიღებთ მეორე ვითარებას, როდესაც მონაწილეობა დაკარგავს ყოველგვარ პოლიტიკურ ინტერესს და აპათია ჩამოყალიბდება (მაცაბერიძე, 2003, გვ. 264, 265).

მეთოდოლოგია

ნაშრომი ეყრდნობა მეორადი მონაცემების ანალიზს. გაანალიზებულია საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის ოფიციალური მონაცემები 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებზე ამომრჩეველთა აქტივობის შესახებ. ამომრჩეველთა ქცევის ძირითადი ტენდენციების აღსაწერად კი გამოყენებულია 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებამდე ჩატარებული „კავკასიის ბარომეტრი საქართველოსა“ და NDI-ის კვლევის შედეგები.

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის ოფიციალური მონაცემების (ეს მონაცემები განთავსებულია ცესკოს ვებგვერდზე და საჯაროდ ხელმისაწვდომია) საფუძველზე, წარმოდგენილია ამომრჩეველთა აქტივობის ანალიზი 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების პირველ და მე-2 ტურში. ამომრჩეველთა აქტივობა გაანალიზებულია როგორც ქვეყნის საერთო მასშტაბით, ისე მაჟორიტარული საარჩევნო ოლქების მიხედვით. წარმოდგენილია ის ოლქები, სადაც ყველაზე მაღალი და ყველაზე დაბალი აქტივობა დაფიქსირდა.

არჩევნებში გამოუცხადებლობის ფაქტორების გამოსავლენად გამოყენებულია 2015 წლის „კავკასიის ბარომეტრი საქართველოსა“ და 2016 წლის ივნისში ჩატარებული NDI-ის კვლევის შედეგები. გამოვლენილი შედეგები შეგვიძლია 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებისათვის ამომრჩეველთა განწყობებზე განვაზოგადოთ.

„კავკასიის ბარომეტრი საქართველოს“ კვლევის საველე სამუშაოები ჩატარდა 2015 წლის 13 ოქტომბრიდან 19 ნოემბრამდე. კვლევის ობიექტს წარმოადგენდა საქართველოს ზრდასრული

მოსახლეობა (18 წელი და ზემოთ) ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის გარდა. სტრატიფიცირებული მრავალსაფეხურიანი კლასტერული შერჩევის საფუძველზე შეირჩა 2251 რესპონდენტი. გამოპასუხების რაოდენობამ 57% შეადგინა. გამოყენებული იქნა კომპიუტერის მეშვეობით პირისპირ გამოკითხვის (CAPI) მეთოდი. ინტერვიუ ჩატარდა ქართულ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე (კავკასიის ბარომეტრი საქართველო, 2015). კვლევის შედეგებზე დაყრდნობით, გაანალიზებულია ცვლადებს შორის კავშირი. შესწავლილია არჩევნებში მონაწილეობის მიღებისა და მისი ფასეულობითი აღქმის მიხედვით ცხოვრებით კმაყოფილების დონე. აგრეთვე, არჩევნებში მონაწილეობის საკითხი დაკავშირებულია პარლამენტის, აღმასრულებელი ხელისუფლებისა და პოლიტიკური პარტიების ინსტიტუტის მიმართ ნდობის მაჩვენებელთან. ამ ინსტიტუტების არჩევისას დავეყრდენით შემდეგ მახასიათებლებს: პარლამენტი წარმოადგენს არჩევნებზე ამომრჩეველთა მიერ პირდაპირი წესით ან პროპორციული სიის საფუძველზე არჩეული დეპუტატებისაგან შემდგარ ორგანოს; მთავრობა წარმოადგენს ამომრჩეველთა მიერ არჩეული პარლამენტის მიერ დაკომპლექტებულ აღმასრულებელ ორგანოს; პარტიები კი ქმნიან ამომრჩეველთა მიერ თავიანთი არჩევანის განხორციელების საფუძველს, ძირითადად, უშუალოდ პარტიებისა თუ მათ მიერ წარდგენილი მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატებისათვის ხმის მიცემით.

NDI-ის კვლევის საველე სამუშაოები ჩატარდა 2016 წლის 8 ივნისიდან 6 ივლისამდე. ეს იყო არჩევნებამდე ჩატარებული ბოლო კვლევა. კვლევის მიზანს საქართველოს მოსახლეობის ცოდნისა და დამოკიდებულებების გამოვლენა წარმოადგენდა ქვეყნის პოლიტიკასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხების მიმართ. კვლევის ობიექტი იყო საქართველოს ზრდასრული მოსახლეობა (18 წელი და ზემოთ) ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის გარდა. ისევე, როგორც „კავკასიის ბარომეტრი საქართველოს“ კვლევის შემთხვევაში, აქაც შერჩევის დიზაინს სტრატიფიცირებული მრავალსაფეხურიანი შერჩევა წარმოადგენდა. შერჩევის ზომამ 4 113 რესპონდენტი შეადგინა, რომელთაგან გამოპასუხების მაჩვენებელი 62% იყო. ამ შემთხვევაშიც გამოყენებული იქნა კომპიუტერის მეშვეობით პირისპირ გამოკითხვის (CAPI) მეთოდი. ინტერვიუ ჩატარდა როგორც ქართულ, ისე სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე. NDI-ის კვლევის შედეგების მიხედვით დავაკავშირეთ ორი ცვლადი: საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობის გეგმა და ეკონომიკური მდგომარეობის ცვლილებასთან დაკავშირებით მოსალოდნელი მოკლევადიანი ხედვა. პირველ შემთხვევაში რესპონდენტებს დაესვათ კითხვა, ხვალ რომ საპარლამენტო არჩევნები ტარდებოდეს, მიიღებდნენ თუ არა მასში მონაწილეობას. მეორე შემთხვევაში კი ავიღეთ ცვლადი, რომლის კითხვაც ასეთია: როგორ შეიცვლება თქვენი ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობა მომდევნო 12 თვის განმავლობაში? (NDI, 2016).

ამომრჩეველთა აქტივობა 2016 წლის არჩევნებზე

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მონაცემების მიხედვით, 2016 წლის არჩევნებზე, წინა ორ საპარლამენტო არჩევნებთან შედარებით, ამომრჩეველთა დაბალი აქტივობა აღინიშნა. თუ 2008 წელს ამომრჩეველთა 53%, 2012 წელს კი 60,8% გამოცხადდა არჩევნებზე, 2016 წლის არჩევნების პირველ ტურში ამომრჩეველთა აქტივობამ 51,63%, ხოლო მე-2 ტურში 37,5% შეადგინა (საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია, 2008, 2012, 2016).

არჩევნების პირველ ტურში 73 მაჟორიტარული ოლქიდან 30 მათგანში 50%-ზე დაბალი აქტივობა დაფიქსირდა. ყველაზე ნაკლები ამომრჩეველი არჩევნებზე N31 (გარდაბნის მუნიციპალიტეტი) საარჩევნო ოლქში გამოცხადდა (37,78%). შვიდ ოლქში ამომრჩეველთა აქტივობამ 60%-ს გადააჭარბა. ყველაზე მაღალი აქტივობა დაფიქსირდა N60 (ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი (გარდა სუფსისა და ღრმაღელის ადგილობრივი მაჟორიტარული საარჩევნო ოლქებისა), ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ნაგომრის, სილაურის, ძიმითის, ჯუმათის, ბაილეთისა და ნასაკირალის ადგილობრივი მაჟორიტარული საარჩევნო ოლქები) და N54 (ვანისა და ხონის მუნიციპალიტეტები) საარჩევნო ოლქებში. ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ის საარჩევნო ოლქები, სადაც ყველაზე დაბალი და ყველაზე მაღალი აქტივობები დაფიქსირდა (საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია, 2016).

ცხრილი 1

საარჩევნო ოლქები, სადაც ყველაზე დაბალი და ყველაზე მაღალი აქტივობები დაფიქსირდა 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების პირველ ტურში

N	ყველაზე დაბალი აქტივობა		ყველაზე მაღალი აქტივობა	
	მაჟორიტარული საარჩევნო ოლქის ნომერი	აქტივობა (%)	მაჟორიტარული საარჩევნო ოლქის ნომერი	აქტივობა (%)
1	31	37,78	60	65,53
2	49	40,15	54	65,45
3	65	40,26	73	61,43
4	9	42,04	58	61,33
5	13	42,03	2	60,74
6	35	42,49	62	60,44
7	48	42,77	51	60,2

8	12	43,12	6	59,97
9	33	44,08	44	59,53
10	36	44,58	37	59,49

წყარო: საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია, 2016

2016 წლის 30 ოქტომბერს 52 მაჟორიტარულ ოლქში გაიმართა არჩევნების მე-2 ტურიც, რომელთაგან 47 ოლქში ამომრჩეველთა აქტივობის დონემ 50%-ზე დაბალი მაჩვენებელი შეადგინა. მხოლოდ 5 მაჟორიტარულ ოლქში დაფიქსირდა 50%-ზე მაღალი აქტივობა. ერთადერთი ოლქი, სადაც ამომრჩეველთა აქტივობამ 60%-ს გადააჭარბა, N 37 - ქალაქ მცხეთისა და მცხეთის მუნიციპალიტეტებისგან შემდგარი მაჟორიტარული ოლქი იყო, რაც ამ ოლქის მიმართ არსებული განსაკუთრებული ინტერესით აიხსნება, რადგან მე-2 ტურში გასული კანდიდატების, დიმიტრი ხუნდაძისა და ცეზარ ჩოჩელის მიერ მიღებულ ხმების რაოდენობას შორის ძალიან მცირე სხვაობა (1,48%) არსებობდა. 13 მაჟორიტარულ ოლქში ამომრჩეველთა აქტივობის დონემ 30%-ზე დაბალი მაჩვენებელი შეადგინა. მე-2 ტურში ყველაზე ცოტა ამომრჩეველი N 41 ოლქში გამოცხადდა. ეს არის ქალაქ გორის მუნიციპალიტეტისა და გორის მუნიციპალიტეტის ტინისხიდისა და ბერბუკისაგან შემდგარი მაჟორიტარული ოლქი, სადაც მე-2 ტურში გასულმა ერთ-ერთმა კანდიდატმა, ირაკლი ალასანიამ, უარი განაცხადა არჩევნების მე-2 ტურში მონაწილეობის მიღებაზე. სწორედ ამით აიხსნება აღნიშნულ ოლქში ამომრჩეველთა მიერ საარჩევნო უბნებზე გამოცხადების ყველაზე დაბალი მაჩვენებელი. მიუხედავად იმისა, რომ N 66 ოლქში (ზუგდიდის მუნიციპალიტეტი (გარდა აბასთუმნის, ერგეტის, ნარაზენის, ცაიშის, ჭითაწყარის, ოქტომბრის, ახალსოფლისა და დიდი ნეძის ადგილობრივი მაჟორიტარული საარჩევნო ოლქებისა) მე-2 ტურში გასულმა კანდიდატმა, სანდრა-ელისაბედ რულოვსმა, ასევე უარი განაცხადა გამარჯვებისათვის ბრძოლის გაგრძელებაზე, აქ ამომრჩეველთა აქტივობა, მაინც, მე-2 ტურის თითქმის საშუალო აქტივობის დონეს გაუტოლდა. სხვა შემთხვევაში კი ამომრჩეველთა გამოუცხადებლობის განმაპირობებელი განსაკუთრებული შემთხვევების არსებობას ადგილი არ ჰქონია და ის შეგვიძლია, მთლიანად ჩვენი საკვლევი თემის ჭრილში განვიხილოთ (საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია, 2016).

ცხრილი 2

საარჩევნო ოლქები, სადაც ყველაზე დაბალი და ყველაზე მაღალი აქტივობები დაფიქსირდა 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების მე-2 ტურში

N	ყველაზე დაბალი აქტივობა		ყველაზე მაღალი აქტივობა	
	მაჟორიტარული საარჩევნო ოლქის ნომერი	აქტივობა (%)	მაჟორიტარული საარჩევნო ოლქის ნომერი	აქტივობა (%)
1	41	21,84	37	62,53
2	65	25,64	44	56,27
3	12	26,64	60	52,27
4	9	27,3	24	50,42
5	13	27,31	27	50,28
6	20	28,15	51	49,71
7	8	28,73	36	49,4
8	11	28,81	64	46,59
9	21	28,94	28	45,87
10	48	29,22	33	45,04

წყარო: საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია, 2016

საინტერესოა, თუ როგორი იყო ამომორჩეველთა აქტივობა წინა საპარლამენტო არჩევნებზე საარჩევნო ოლქების მიხედვით (მაშინ ერთმანდატიანი მაჟორიტარული საარჩევნო ოლქების საზღვრები მუნიციპალიტეტების საზღვრებს ემთხვეოდა). 2012 წლის არჩევნებზე 73 საარჩევნო ოლქიდან მხოლოდ ოთხ მათგანში დაფიქსირდა 50%-ზე დაბალი აქტივობა. ეს ოლქებია: წალკა, მარნეული, ზუგდიდი და ბოლნისი. ყველა დანარჩენში აქტივობა 50%-ზე მაღალი იყო. 11 ოლქში ამომრჩეველთა აქტივობამ 70%-ს გადააჭარბა. ყველაზე მაღალი აქტივობა დაფიქსირდა საჩხერისა (76,91%) და მთაწმინდის (76,9%) ოლქებში. ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია 10-10 საარჩევნო ოლქი, სადაც ყველაზე დაბალი და ყველაზე მაღალი აქტივობები დაფიქსირდა (საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია, 2012).

ცხრილი 3

საარჩევნო ოლქები, სადაც ყველაზე დაბალი და ყველაზე მაღალი აქტივობები დაფიქსირდა 2012 წლის არჩევნებზე

N	ყველაზე დაბალი აქტივობა		ყველაზე მაღალი აქტივობა	
	ოლქი	აქტივობა (%)	ოლქი	აქტივობა (%)
1	წალკა	35,59	საჩხერე	76,91
2	მარნეული	43,98	მთაწმინდა	76,9
3	ზუგდიდი	46,29	ხარაგაული	74,17
4	ბოლნისი	48,44	ამბროლაური	73,87
5	გარდაბანი	51,93	ასპინძა	73,25
6	წალენჯიხა	52,45	ჩოხატაური	73,25
7	დმანისი	53,47	ვაკე	72
8	საგარეჯო	54	ქედა	71,34
9	თეთრიწყარო	54,24	ლანჩხუთი	70,7
10	ახალქალაქი	54,72	საბურთალო	70,69

წყარო: საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია, 2012

არჩევნებზე გამოუცხადებლობის ფაქტორები

კავკასიის ბარომეტრი-საქართველოს 2015 წლის კვლევის შედეგებზე დაყრდნობით, წარმოგიდგენთ არჩევნებში მონაწილეობისა და მისი ფასეულობითი აღქმის დამოკიდებულებას ამომრჩეველთა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობისა და მისით კმაყოფილების მიმართ. მეორე ნაწილში კი შევეხებით არჩევნებში მონაწილეობასა და პოლიტიკური ინსტიტუტების მიმართ ნდობის მაჩვენებელს შორის დამოკიდებულების საკითხს.

კავკასიის ბარომეტრის კვლევის მიხედვით, ერთმანეთს შევადარეთ შემდეგი ცვლადები: არჩევნებში მონაწილეობა შემდეგ კვირას და ცხოვრებით კმაყოფილება მთლიანობაში. დიაგრამა 2-ზე ვერტიკალურ ღერძში განაწილებულია კითხვის - „მიიღებდით თუ არა მონაწილეობას არჩევნებში შემდეგ კვირას?“ - კატეგორიები. ჰორიზონტალური ღერძი კი მოიცავს, თითოეული კატეგორიის მიხედვით, გამოკითხულთა მიერ ცხოვრებით მთლიანობაში კმაყოფილების პროცენტულ განაწილებას. ცხოვრებით კმაყოფილება შეფასებულია 5 ბალიან სკალაზე, სადაც 1 ნიშნავს, რომ რესპონდენტი საერთოდ არ არის კმაყოფილი, ხოლო 5 გამოხატავს, რომ ძალიან კმაყოფილია.

კვლევის შედეგების მიხედვით, მათგან, ვინც კითხვაზე - მიიღებდა თუ არა მონაწილეობას არჩევნებში შემდეგ კვირას, უპასუხა, რომ არავითარ შემთხვევაში არ მიიღებდა, ყველაზე მეტი - 30%, მთლიანობაში, ცხოვრებით საერთოდ არ არის კმაყოფილი. ეს წილი ყველაზე ნაკლებია მათ შორის, ვინც, სავარაუდოდ, მიიღებდა არჩევნებში მონაწილეობას (18%). ისინი, ვინც ცხოვრებით მთლიანობაში უფრო

უკმაყოფილოა, ვიდრე კმაყოფილი, ასევე ყველაზე მეტია იმ რესპონდენტებს შორის, რომლებიც აფიქსირებენ აზრს, რომ არავითარ შემთხვევაში არ აპირებენ არჩევნებში მონაწილეობის მიღებას (23%). საერთო ჯამში, მათგან, ვინც არჩევნებში მონაწილეობის მიღების მიმართ სრულ აბსენტიზმს ავლენს, 53% საკუთარი ცხოვრებით უკმაყოფილოა. ეს არის ერთადერთი შემთხვევა სხვა კატეგორიებს შორის, როდესაც უკმაყოფილოთა წილი 50%-ს აღემატება. ამ კატეგორიაში ყველაზე დაბალია ცხოვრებით სრულად კმაყოფილების მაჩვენებელიც (5%).



დიაგრამა 2 (წყარო: კავკასიის ბარომეტრი საქართველო, 2015)

1. მიიღებდით თუ არა მონაწილეობას არჩევნებში შემდეგ კვირას? 2. ცხოვრებით კმაყოფილება მთლიანობაში (%)

ცხოვრებით კმაყოფილების საერთო მაჩვენებელს არჩევნებში მონაწილეობის მიღების შესახებ გამოკითხულ ამომრჩეველთა გეგმები უკვე შევადარეთ. საინტერესოა, თუ როგორ დამოკიდებულებას ავლენენ ამომრჩევლები ცხოვრებით კმაყოფილების მიმართ არჩევნებში მონაწილეობის ფასეულობითი აღქმის მიხედვით. გამოკითხულ ამომრჩეველთა იმ კატეგორიიდან, რომლებიც მიიჩნევენ, რომ საერთოდ არ არის მნიშვნელოვანი, კარგი მოქალაქე მონაწილეობას იღებდეს არჩევნებში, 40% მთლიანობაში საერთოდ არ არის კმაყოფილი საკუთარი ცხოვრებით. ეს მაჩვენებელი თითქმის ორჯერ აღემატება სხვა კატეგორიებში ანალოგურ მაჩვენებელს. დეტალურად ამ ორი ცვლადის დამოკიდებულება წარმოდგენილია მე-3 დიაგრამაზე.



დიაგრამა 3 (წყარო: კავკასიის ბარომეტრი საქართველო, 2015)

1. მნიშვნელოვანია, კარგი მოქალაქე მონაწილეობას იღებდეს არჩევნებში. 2. ცხოვრებით კმაყოფილება მთლიანობაში (%)

NDI-ის საზოგადოების განწყობის კვლევის შედეგების მიხედვით, შეგვიძლია, არჩევნებში მონაწილეობის მიხედვით ახლა უკვე ეკონომიკური მდგომარეობის მოსალოდნელი ცვლილების მოლოდინი შევისწავლოთ. ავიღეთ ორი ცვლადი, რომელთა შესახებაც კვლევის ფარგლებში რესპონდენტებს დაესვათ შემდეგი კითხვები: 1. „ხვალ რომ საპარლამენტო არჩევნები ტარდებოდეს, მიიღებდით თუ არა მონაწილეობას?“ 2. „როგორ შეიცვლება თქვენი ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობა მომდევნო 12 თვის განმავლობაში?“ გამომდინარე იქიდან, რომ საკამოდ მაღალი იყო არჩევნებში მონაწილეობასთან დაკავშირებით გამოყოფილ ორ კატეგორიაში პასუხების - „არ ვიცი“ და „უარი პასუხზე“ გაცემის წილი (20-21%), მონაცემთა ანალიზს ამ ორი პასუხის გარეშე წარმოგიდგენთ. მათგან, ვინც, სავარაუდოდ, არ მიიღებდა არჩევნებში მონაწილეობას, 63%-ის აზრით მომდევნო 12 თვის განმავლობაში მათი ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობა არ შეიცვლება; 21% მიიჩნევს, რომ არსებული მდგომარეობა ნაწილობრივ გაუმჯობესდება; მხოლოდ 1%-ს აქვს სრულად გაუმჯობესების მოლოდინი. იმ რესპონდენტებს შორის კი, რომლებმაც არჩევნებში მონაწილეობის მზადყოფნა გამოთქვეს, მათი წილი, ვინც მიიჩნევს, რომ ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობა მომდევნო 12 თვეში იგივე დარჩება, 12%-ით დაბალია. სამაგიეროდ, შედარებით მაღალია იმ ამომრჩევლების წილი, რომლებსაც აქვთ მოლოდინი, რომ არსებული ეკონომიკური მდგომარეობა გაუმჯობესდება. 32% მიიჩნევს, რომ მომდევნო ერთი წლის განმავლობაში მათი ოჯახის მდგომარეობა ნაწილობრივ გაუმჯობესდება, 5 %-ის აზრით კი ძალიან უნდა გაუმჯობესდეს.



დიაგრამა 4 (წყარო: NDI, 2016)

1. ხვალ რომ საპარლამენტო არჩევნები ტარდებოდეს, მიიღებდით თუ არა მონაწილეობას? 2. როგორ შეიცვლება თქვენი ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობა მომდევნო 12 თვის განმავლობაში? (%)

დავუბრუნდეთ კვლავ „კავკასიის ბარომეტრი საქართველოს“ კვლევის მონაცემთა ანალიზს. ამჯერად წარმოგიდგენთ არჩევნებში მონაწილეობის მიღების საკითხის დამოკიდებულებას პოლიტიკური ინსტიტუტების მიმართ ნდობის მაჩვენებელთან. პოლიტიკურ ინსტიტუტებს შორის გამოყოფილია პარლამენტი, აღმასრულებელი ხელისუფლება - მთავრობა და პოლიტიკური პარტიები. ამ ინსტიტუტების გამოყოფის საფუძველზე მეთოდოლოგიის განხილვისას უკვე ვისაუბრეთ.

დავიწყოთ პარლამენტის მიმართ ნდობის საკითხის გაანალიზებით. მათგან, ვინც არავითარ შემთხვევაში არ მიიღებდა არჩევნებში მონაწილეობას, 32% საერთოდ არ ენდობა პარლამენტს, სრულ ნდობას კი მხოლოდ 1% გამოხატავს. იმ რესპონდენტებიდან, რომლებმაც არჩევნებში მონაწილეობის მიღების გეგმასთან დაკავშირებით ეს კატეგორია აირჩია, საერთო ჯამში 56% ძირითადად ან საერთოდ არ ენდობა პარლამენტს, მხოლოდ 10% ენდობა ძირითადად ან სრულად ამ ინსტიტუტს. 31% კი ნაწილობრივ ენდობა, ნაწილობრივ კი - არა. სხვა კატეგორიებში ამ მაჩვენებლების განაწილების განსხვავებულობა მკაფიოდაა გამოხატული, მიუხედავად იმისა, რომ პარლამენტის მიმართ უნდობლობა იქაც არც ისე დაბალია.



დიაგრამა 5 (წყარო: კავკასიის ბარომეტრი საქართველო, 2015)

1. მიიღებდით თუ არა არჩევნებში მონაწილეობას შემდეგ კვირას? 2. ნდობა - პარლამენტი (%)

საინტერესოა, თუ როგორი დამოკიდებულებაა არჩევნებში გამოუცხადებლობასა და აღმასრულებელი ხელისუფლების მიმართ ნდობის მაჩვენებელს შორის. მათგან, ვინც კითხვაზე, მიიღებდა თუ არა არჩევნებში მონაწილეობას შემდეგ კვირას, უპასუხა, რომ არავითარ შემთხვევაში არ მიიღებდა, 31% საერთოდ, 21% კი ძირითადად არ ენდობა აღმასრულებელ ხელისუფლებას. საერთო ჯამში, გამოკითხულთა 52% ამ კატეგორიიდან უნდობლობას აფიქსირებს. სრულ ნდობას მთავრობას მხოლოდ 1 % უცხადებს, 11% კი ძირითადად ენდობა აღმასრულებელ ხელისუფლებას. უნდობლობის მაჩვენებელი 29%-მდე ეცემა იმ გამოკითხულებს შორის, რომლებმაც შემდეგ კვირას არჩევნებში მონაწილეობის მიღების შესახებ კითხვას უპასუხეს, რომ, ალბათ, არ მიიღებდნენ არჩევნებში მონაწილეობას. კიდევ უფრო მცირე, 26%-ია ეს მაჩვენებელი იმ გამოკითხულებს შორის, რომლებმაც აირჩიეს კატეგორია: „ალბათ, მივიღებდი მონაწილეობას“. ორივე კატეგორიის შემთხვევაში, მათი წილი, ვინც საერთოდ არ ენდობა აღმასრულებელ ხელისუფლებას, 10%-ია. უნდობლობის მაჩვენებელი კვლავ იზრდება იმ გამოკითხულებს შორის, რომლებიც აუცილებლად მიიღებდნენ არჩევნებში მონაწილეობას, რაც იმაზე მიუთითებს, რომ მთავრობის მიმართ დაბალი ნდობა ნაწილობრივ არჩევნებში აქტიურ მონაწილეობაზეც აისახება. ამ ტიპის ამომრჩევლები ოპოზიციურ პარტიებსა და კანდიდატებს აძლევენ ხმას.



დიაგრამა 6 (წყარო: კავკასიის ბარომეტრი საქართველო, 2015)

1. მიიღებდით თუ არა არჩევნებში მონაწილეობას შემდეგ კვირას? 2. ნდობა - აღმასრულებელი ხელისუფლება (%)

კვლევის შედეგების მიხედვით, მნიშვნელოვანი დამოკიდებულება იკვეთება არჩევნებში მონაწილეობის მიღებისა და პოლიტიკური პარტიების მიმართ ნდობის საკითხებს შორისაც. პარტიების მიმართ უნდობლობის დონე მნიშვნელოვნად მაღალია იმ ამომრჩევლებს შორის, რომლებიც არ გეგმავენ არჩევნებში მონაწილეობის მიღებას. იმ რესპონდენტებს შორის, რომლებმაც განაცხადეს, რომ არავითარ შემთხვევაში არ მიიღებდნენ არჩევნებში მონაწილეობას, 62% საერთოდ ან ძირითადად არ ენდობა პარტიებს. ამრიგად, პოლიტიკური პარტიების მიმართ დაბალი ნდობის არსებობა არჩევნებში გამოუცხადებლობის ერთ-ერთი მიზეზია. ამ ორ ცვლადს შორის კავშირი დეტალურად ქვემოთ დიაგრამის სახითაა წარმოდგენილი.



დიაგრამა 7 (წყარო: კავკასიის ბარომეტრი საქართველო, 2015)

1. მიიღებდით თუ არა არჩევნებში მონაწილეობას შემდეგ კვირას? 2. ნდობა - პოლიტიკური პარტიები (%)

დასკვნა

მოცემული კვლევის შედეგების მიხედვით, ის ამომრჩევლები, რომლებიც არავითარ შემთხვევაში, ან, სავარაუდოდ, არ მიიღებდნენ არჩევნებში მონაწილეობას, მთლიანობაში ცხოვრებით უკმაყოფილებას უფრო მეტად გამოხატავენ, ვიდრე ის ამომრჩევლები, რომლებიც არჩევნებში მონაწილეობის მზადყოფნას აცხადებენ. ამომრჩეველთა იმ ნაწილშიც, რომლებისთვისაც არ არის მნიშვნელოვანი, კარგი მოქალაქე მონაწილეობას იღებდეს არჩევნებში, უფრო დიდია ცხოვრებით უკმაყოფილების მაჩვენებელი. იმ ამომრჩევლებს შორის, რომლებიც, მათი თქმით, არ მიიღებდნენ არჩევნებში მონაწილეობას, უფრო დაბალია პარლამენტის, აღმასრულებელი ხელისუფლებისა და პოლიტიკური პარტიების მიმართ ნდობის დონეც, ვიდრე იმ ამომრჩევლებში, რომლებიც გამოხატავდნენ არჩევნებში მონაწილეობის სურვილს. აბსენტიზმისკენ მიდრეკილ მოქალაქეებს შორის, საერთო ჯამში, განსაკუთრებით მაღალია პოლიტიკური პარტიების მიმართ უნდობლობის მაჩვენებელი.

საერთო ჯამში, შეგვიძლია გამოვყოთ არჩევნებზე გამოუცხადებლობის ორი ძირითადი ფაქტორი: ცხოვრებით უკმაყოფილება მთლიანობაში და პოლიტიკური ინსტიტუტების მიმართ ნდობის დაბალი

დონე. მოცემული განწყობა შეესაბამება გარდამავალ სისტემებში ამომრჩეველთა ქცევის მახასიათებლებს, რაც მდგომარეობს სოციალურ-ეკონომიკური პირობების შედარებით დაბალ დონესა და ამომრჩევლებსა და პოლიტიკურ ინსტიტუტებს შორის გაუცხოებაში.

კვლევის შედეგების მიხედვით, ამომრჩევლები, რომლებიც არ აპირებდნენ არჩევნებში მონაწილეობის მიღებას, უფრო მეტად მიიჩნევდნენ, რომ არჩევნების შემდეგ მათი მდგომარეობა არ შეიცვლებოდა, ვიდრე ისინი, ვინც გეგმავდნენ არჩევნებზე მისვლას. დაუნსის რაციონალური ამომრჩევლის ქცევის მოდელის მიხედვით, იმ შემთხვევაში, თუ ამომრჩეველს ყველა პარტიისა თუ კანდიდატის პროგრამა და იდეოლოგიური პლატფორმები ერთნაირი ეჩვენება, მაშინ ხმის მიცემის ღირებულებას უპირისპირდება მონაწილეობის, როგორც სოციალური ინსტიტუტის ფასეულობითი აღქმის ხასიათი და ის სარგებელი, რასაც შეიძლება მოელოდეს ამომრჩეველი ხელისუფლების ცვლილების ან შენარჩუნების შემთხვევაში. როგორც კვლევის შედეგებმა აჩვენა, პოტენციური სარგებლის აღქმა დაბალია ამომრჩევლებში. მათი უმრავლესობა მიიჩნევს, რომ არსებული მდგომარეობა არჩევნების შემდეგ არ შეიცვლება. ამ შემთხვევაში არჩევნებში მონაწილეობისათვის გასაწევმა ხარჯებმა (დრო) კი ამომრჩევლებს აბსენტიზმისაკენ უბიძგა. საბოლოოდ, შეიძლება დავასკვნათ, რომ იმ ამომრჩეველთა უმრავლესობამ, რომლებიც საკუთარი ცხოვრების პირობებით, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობით განსაკუთრებით უკმაყოფილონი იყვნენ და ამასთან, არ ჰქონდათ მისი უკეთესობისკენ შეცვლის მოლოდინი, უარი თქვეს არჩევნებში მონაწილეობის მიღებაზე.

ხელმძღვანელი: მალხაზ მაცაბერიძე, პროფესორი, პოლიტიკის მეცნიერების დეპარტამენტი

ბიბლიოგრაფია

კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი. (2015). კავკასიის ბარომეტრი 2015 საქართველო. მოძიებულია 2016 წლის 10. 12, ვებ-გვერდიდან: http://caucasusbarometer.org/ge/cb2015ge/codebook/

კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი. (2016). NDI: საზოგადოების განწყობა საქართველოში, 2016 წლის ივნისი. მოძიებულია 2016 წლის 11. 12, ვებ-გვერდიდან: http://caucasusbarometer.org/ge/nj2016ge/codebook/

მაცაბერიძე, მ. (2003). არჩევნები და პოლიტიკური აპათია. *არჩევნები და საზოგადოება* (255-266). თბილისი: მეცნიერება

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია. (2012). ამომრჩეველთა აქტივობა. მოძიებულია 2016 წლის 10. 12, ვებ-გვერდზე: http://cesko.ge/geo/static/385/aqtivoba-2012

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია. (2016). ამომრჩეველთა აქტივობა. მოძიებულია 2016 წლის 11. 12, ვებ-გვერდზე: http://cesko.ge/geo/static/2412/amomrchevelta-aqtivoba

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია. (2016). ამომრჩეველთა აქტივობა, მე-2 ტურები. მოძიებულია 2016 წლის 11. 12, ვებ-გვერდზე: http://cesko.ge/geo/static/2492/amomrchevelta-aqtivoba

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია. (2016). საარჩევნო ოლქების საზღვრები 2016. მოძიებულია 2016 წლის 11. 12, ვებ-გვერდზე: http://cesko.ge/geo/list/show/20440-saarchevno-olqebis-sazgvrebi-201611042016

Downs, A. (1957). An economic theory of democracy. New York: Harper Collins Publishers.